



ICRC

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი

მსგავსება და სხვაობა

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალიც და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალიც მოწოდებულია დაიცვას ადამიანების სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ღირსება, თუმცა, სხვადასხვა კუთხით. აქედან გამომდინარე, უცნაური არაა რის, რომ მიუხედავად განსხვავებული ფორმულირებისა, ზოგიერთი ნორმის შინაარსი იდენტური თუ არა, ძალზედ მსგავსია. მაგალითად, სამართლის ეს ორი დარგი მიზნად ისახავს სიცოცხლის დაცვას, კრძალავს წამებას და სასტიკ მოპყრობას, სისხლის სამართლებრივ მართლმსაჯულებას მიცემული პირებისთვის ადგენს ძირითად უფლებებს, კრძალავს დისკრიმინაციას, შეიცავს დებულებებს ქალთა და ბავშვთა დაცვისთვის, არეგულირებს საკვებისა და ჯანდაცვის უფლების ასპექტებს. მეორეს მხრივ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ასევე არეგულირებს მთელ რიგს ისეთი საკითხებისა, რომელიც არ ხვდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის რეგულირების სფეროში, როგორცაა, საბრძოლო მოქმედებების წარმოება, კომბატანტისა და სამხედრო ტყვის სტატუსი და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ემბლემების დაცვა. ამასთან, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი არეგულირებს მშვიდობიანი ყოფის ისეთ საკითხებს, რომლებსაც არ ეხება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, როგორცაა პრესის თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, არჩევნებში მონაწილეობისა და გაფიცვის უფლება.

რა არის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი?

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არის ისეთი საერთაშორისო სახელშეკრულებო ან ჩვეულებითი ნორმები, რომლებიც მოწოდებულია მოაგვაროს საერთაშორისო ან არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტიდან გამომდინარე ჰუმანიტარული პრობლემები. ის იცავს იმ პირებს და ქონებას რომელიც დაზარალდა ან შეიძლება დაზარალდეს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად და ზღუდავს კონფლიქტის მხარეთა არჩევანს საბრძოლო მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებაში.

საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში მოქმედი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითად სახელშეკრულებო წყაროებს წარმოადგენს ჟენევის 1949 წლის კონვენციები და მათი 1977 წლის I დამატებითი ოქმი. არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში მოქმედი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითად სახელშეკრულებო წყაროებს წარმოადგენს ჟენევის 1949 წლის კონვენციების საერთო მესამე მუხლი და ჟენევის კონვენციების 1977 წლის II დამატებითი ოქმი.

... და რა არის ადამიანის უფლებათა
საერთაშორისო სამართალი?

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი არის ისეთი საერთაშორისო ნორმების ერთობლიობა, რომლის საფუძველზეც ინდივიდებს და ჯგუფებს უფლება აქვთ მოელოდნენ ან/და მოითხოვონ მთავრობებისგან გარკვეული სახის მოპყრობა ან პრივილეგიები. ადამიანის უფლებები არის ისეთი ხელშეუვალი უფლებები, რომლებიც ადამიანს გააჩნია იმის შედეგად, რომ ის ადამიანია. მთელი რიგი არასახელშეკრულებო პრინციპები ასევე წარმოადგენენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სტანდარტებს.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ძირითად წყაროებს წარმოადგენს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (1966), გენოციდის ამკრძალავი კონვენცია (1948), რასობრივი დისკრიმინაციის ამკრძალავი კონვენცია (1965), ქალთა დისკრიმინაციის ამკრძალავი კონვენცია (1979), წამების ამკრძალავი კონვენცია (1984), ბავშვთა უფლებების კონვენცია (1989). ძირითად რეგიონალურ ინსტრუმენტებს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია (1950), ადამიანის უფლებათა და ვალდებულებათა ამერიკული დეკლარაცია (1948) და კონვენცია (1969), აფრიკის ადამიანის უფლებათა ქარტია (1981).

მაშინ, როცა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალს და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს სხვადასხვა ისტორიული განვითარება ჰქონდათ, უახლესი ხელშეკრულებები შეიცავს ორივე დარგის ნორმებს. ამის მაგალითს წარმოადგენს ბავშვთა უფლებების კონვენცია, მისი დამატებითი ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი.

როდის ხდება მათი გამოყენება?

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი გამოიყენება შეიარაღებული კონფლიქტის დროს, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი იქნება ეს, თუ არასაერთაშორისო. საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი არის ომი რომელშიც ჩაბმულია ორი ან ორზე მეტი სახელმწიფო და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი, იმისდა

მიუხედავად, არის თუ არა ომი გამოცხადებული ან აღიარებენ თუ არა მხარეები საომარ მდგომარეობას.

არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი არის ისეთი შეიარაღებული კონფლიქტი, რომელშიც სახელისუფლებო სამხედრო ძალები ებრძვიან შეიარაღებულ მოწინააღმდეგე ჯგუფს ან ჯგუფებს, ან ასეთი ჯგუფები ებრძვიან ერთმანეთს. ვინაიდან, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მოქმედებს განსაკუთრებულ სიტუაციებში – შეიარაღებული კონფლიქტის დროს – გამოიციხულია მისი ნორმებიდან რაიმე სახის გადახვევის დაშვება.

ზოგადად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი მოქმედებს ყოველთვის, ანუ როგორც მშვიდობიან დროს, ისე შეიარაღებული კონფლიქტის დროს. თუმცა, ადამიანის უფლებათა ზოგიერთი ხელშეკრულება, უფლებას ამლევს სახელმწიფოს შეზღუდოს ზოგიერთი ნორმა საჯარო აუცილებლობის დროს, როცა საფრთხე ემუქრება ერის სიცოცხლეს. ასეთი შეზღუდვები უნდა შეესაბამებოდეს კრიზისის დონეს, არ უნდა იყოს დისკრიმინაციული და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სამართლის, მათ შორის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს.

ზოგიერთი უფლების შეზღუდვა ყოველთვის დაუშვებელია. მათ შორისაა სიცოცხლის უფლება, წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა თუ სასჯელის აკრძალვა, მონობის აკრძალვა, რეტროაქტიული (უკუქცევითი) სისხლის სამართლებრივი ნორმების აკრძალვა.

ვის ავალდებულებს სამართლის ეს დარგები?

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულებაზე ვალდებულია შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მონაწილე: საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტში ის უნდა დაიცვან სახელმწიფოებმა, მაშინ, როცა არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში ის ვრცელდება როგორც ხელისუფლებაზე, ისე არასახელისუფლებო შეიარაღებულ ჯგუფებზე. შესაბამისად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ვრცელდება როგორც სახელმწიფოებზე, ისე არასახელმწიფო წარმონაქმნებზე.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადგენს ინდივიდებთან ურთიერთობისას სახელმწიფოსთვის სავალდებულო წესებს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს აზრი, რომლის მიხედვითაც არასახელმწიფო წარმონაქმნები, განსაკუთრებით კი სახელმწიფოს მსგავსი ფუნქციების განმახორციელებელნი, ვალდებულნი არიან დაიცვან ეს წესები, აღნიშნული საკითხი ჯერ-ჯერობით დაურეგულირებელია.

ვალდებულია თუ არა ინდივიდი დაიცვას ეს წესები?

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ვრცელდება ინდივიდებზეც და ადგენს, რომ ფიზიკური პირები შეიძლება მიეცენ ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში ჟენევის კონვენციებისა და მათი დამატებითი ოქმების "უხეში დარღვევებისთვის" ადამიანის წესებისა და ჩვეულებების სხვა დარღვევებისთვის (ომის დანაშაულებანი). საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი აწესებს უნივერსალურ იურისდიქციას პირებზე, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან ასეთი დანაშაულების ჩადენაში. სისხლის სამართლის საერთაშორისო სამართალს ამოქმედებით ინდივიდები ასევე პასუხისმგებელნი იქნებიან არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილი ომის დანაშაულებისთვის.

მაშინ, როცა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ხელშეკრულებანი არ ითვალისწინებენ ინდივიდებისთვის სპეციალურ ვალდებულებებს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი მაინც აწესებს ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ისეთი დარღვევებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ საერთაშორისო დანაშაულს, როგორცაა გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და წამება. ამ დანაშაულებზეც ვრცელდება უნივერსალური იურისდიქცია.

იუგოსლავიისა და რუანდის ად ჰოც საერთაშორისო ტრიბუნალებს, ისევე როგორც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გააჩნიათ იურისდიქცია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დარღვევებზე.

ვინ არის დაცული?

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მიზნად ისახავს იმ პირთა დაცვას, რომლებიც აღარ ან არ იღებენ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში. საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში მოქმედი ჟენევის კონვენციები ეხება მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა დაცვას (I კონვენცია), საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილთა და ავადმყოფთა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირთა დაცვას (II კონვენცია), დაცვას (III კონვენცია) და სამოქალაქო პირების, მათ შორის იძულებით გადაადგილებული პირების, ქალების, ბავშვების, ლტოლვილების, მოქალაქეობის არმქონე პირების, ჟურნალისტების და სხვა კატეგორიის პირთა დაცვას (IV კონვენცია ად I დამატებითი ოქმი).

არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში მოქმედი წესები (საერთო მესამე მუხლი და ჟენევის კონვენციების II დამატებითი ოქმი) ეხება იმ პირთა დაცვას, რომლებიც აღარ ან არ იღებენ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი პირებს იცავს საომარი მოქმედებების წარმოების მარეგულირებელი წესების საშუალებითაც. მაგალითად, შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები ვალდებულნი არიან ყოველთვის განასხვავონ ერთმანეთისგან კომბატანტი და სამოქალაქო პირი, სამხედრო და სამოქალაქო ობიექტები. არც სამოქალაქო მოსახლეობა სრულად და არც ცალკეული სამოქალაქო პირები არ შეიძლება გახდნენ თავდასხმის ობიექტები. ასევე აკრძალულია სამხედრო ობიექტებზე თავდასხმა, თუ ეს გამოიწვევს არაპროპორციულ მსხვერპლს პირთა ან სამოქალაქო ობიექტებს შორის.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, რომელიც სპეციალურად შეიქმნა მშვიდობიანი პერიოდისთვის, ვრცელდება ყველა პირზე.

როგორია ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციის სისტემა?

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის იმპლემენტაციის ვალდებულება პირველ რიგში სახელმწიფოს ეკისრება.

სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მიიღონ მთელი რიგი სამართლებრივი და პრაქტიკული ზომებისა, როგორც საომარ ისე მშვიდობიან პერიოდში, რათა უზრუნველყონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სრული დაცვა. მათ შორისაა:

- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ხელშეკრულებათა თარგმნა;
- სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე ომის დანაშაულებათა დასჯა და პრვენცია;
- წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ემბლემების დაცვა;
- ძირითადი სასამართლო გარანტიების გამოყენების უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გავრცელება;
- საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში სწავლების ჩატარება შესაბამისი მოხელეებისთვის და სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისთვის სამართლებრივი მრჩევლების დანიშვნა.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ასევე შეიცავს დებულებებს, რომლებიც აკისრებს სახელმწიფოებს იმპლემენტაციის ვალდებულებას. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ მთელი რიგი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სასამართლო და სხვა ზომები, რაც საჭიროა შესაბამისი ხელშეკრულებებით განსაზღვრული უფლებების განხორციელებისთვის. ეს შეიძლება მოიცავდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დარღვევების სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში აკრძალვას, ცალკეული უფლებების დარღვევის შემთხვევაში ანაზღაურების განსაზღვრა და ამ ანაზღაურების ეფექტურობის უზრუნველყოფა.

... საერთაშორისო დონეზე?

საერთაშორისო დონეზე იმპლემენტაციის მხრივ, ჟენევის კონვენციების I საერთო მუხლის მიხედვით, სახელმწიფოებს აქვთ კოლექტიური ვალდებულება დაიცვან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და უზრუნველყონ მისი დაცვა ყველა გარემოებებში. საზედამხებდევლო სისტემა ასევე ითვალისწინებს მფარველი სახელმწიფოების მექანიზმს, გამოკითხვის პროცედურას და ფაქტების დამდგენ საერთაშორისო კომისიას,

რომელიც I დამატებითი ოქმის 90-ე მუხლითაა გათვალისწინებული. I დამატებითი ოქმის ხელშემკვრელი სახელმწიფოები ასევე იღებენ ვალდებულებას ითანამშრომლონ გარეთიანებული ერების ორგანიზაციასთან I დამატებითი ოქმის ან კონვენციების სერიოზული დარღვევების შემთხვევებში.

ჟენევის კონვენციების, მათი დამატებითი ოქმებისა და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის მოძრაობის წესდებებით მინიჭებული მანდატის საფუძველზე, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი წარმოადგენს სისტემის საკვანძო ელემენტს. ის უზრუნველყოფს ომის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებას, ხელს იწყობს სახელმწიფოებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაში, ავითარებს და ავრცელებს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ინიციატივის უფლება, შესაძლებლობას აძლევს მას შესთავაზოს თავისი სამსახური, ან წამოიწყოს ისეთი ქმედებები, რომლებსაც ჩათვლის საჭიროდ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კეთილსინდისიერად შესრულებისთვის.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საზედამხებდევლო სისტემა შედგება გაერთიანებული ერების ან ადამიანის უფლებათა ძირითადი ხელშეკრულებების საფუძველზე დაფუძნებული ორგანოებისგან. გაერთიანებული ერების წესდების საფუძველზე დაფუძნებული მთავარი ორგანოებია გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია და მისი ადამიანის უფლებათა დაცვისა და გავრცელების ქვე-კომისია. კომისიის მიერ ასევე შექმნილია "განსაკუთრებული პროცედურები", როგორიცაა ქვეყნის ან თემატურობის მიხედვით შექმნილი სამუშაო ჯგუფები, რომელთა მიზანია მათი მანდატის ფარგლებში ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგი და ამ საკითხებზე ანგარიშგება.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან ექვსი ითვალისწინებს დამოუკიდებელი ექსპერტებისგან შემდგარი კომიტეტების შექმნას, რომლებიც განახორციელებენ მათი შესრულების მონიტორინგს.

განსაკუთრებულ როლს თამაშობს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი, რომელიც აღჭურვილია განსაკუთრებული

უფლებამოსილებით ადამიანის უფლებათა დაცვისა და გავრცელების სფეროში. კომისარიატის მიზანია უზრუნველყოს გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმის ეფექტურობა; გაეროს მიერ ადამიანის უფლებათა იმპემენტაციისა და სისტემური კოორდინაციის გაზრდა; საერთაშორისო, რეგიონალურ და ეროვნულ დონეებზე ადამიანის უფლებათა დაცვის შესაძლებლობის შექმნა; ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

... რეგიონალურ დონეზე?

ადამიანის უფლებათა იმ სასამართლოების და კომისიების მუშაობა, რომლებიც ძირითადი რეგიონალური ხელშეკრულებებით შეიქმნა ევროპაში, ამერიკასა და აფრიკაში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ცალკე თვისებაა, რომელსაც ანალოგი არ აქვს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში. ამისდა მიუხედავად, ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები იხილავენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების უფრო და უფრო მეტ შემთხვევებს.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო, რომელიც 1050 წლის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის საფუძველზე შეიქმნა, წარმოადგენს ევროპაში ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის უმთავრეს ნაწილს. ამერიკის კონტინენტების მთავარ საზედამხედველო ორგანოებს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერ-ამერიკული კომისია და ინტერ-ამერიკული სასამართლო. აფრიკის ადამიანისა და ხალხის უფლებათა დაცვის კომისია არის საზედამხედველო ორგანო, რომელიც შეიქმნა აფრიკის 1981 წლის ქარტიის საფუძველზე. ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც აფრიკის ადამიანის უფლებათა სასამართლოს უნდა დაფუძნდეს, ჯერ ძალაში არ შესულა.